ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N1

8.02.2017

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის ანკეტა–კითხვარის დამტკიცება;
2. ასისტენტ-პროფესორ ელენე კვანჭილაშვილის მიერ წარმოდგენილი ახალი სილაბუსის -„კულტურული ფსიქოლოგია“ - დამტკიცება;
3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტებისა და სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ხელმძღვანელების დამტკიცება;
4. 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი გრანტების საბოლოო ანგარიშების დამტკიცება;
5. თსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2005 წლის კურსდამთავრებული ეკატერინე დარბაიძის აკადემიური ხარისხის დაზუსტება;
6. საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში მონაწილე თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების შემრჩევი კომისიის შემადგენლობის დადგენა;
7. და სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები:

ლალი სურმანიძე, იამზე კუტალაძე

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, მაია მესტვირიშვილი, ლუიზა არუთინოვი, ირინე ჟვანია, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, ლილი ხეჩუაშვილი, ვახტანგ ნადარეიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, მედეა დესპოტაშვილი

ასისტენტ პროფესორები: თეონა ლოდია, ლია ჩხიკვიშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

იზაბელა პეტრიაშვილი

რუსუდან სანაძე

ზაქარია ქიტიაშვილი

<u>სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:</u>

ფსიქოლოგიის მიმართულება:

სალომე თოფურია

ნათია კაპანაძე

პაატა ჯოლბორდი

საბჭოს სხდომას ესწრებოდა 23 წევრი

განიხილეს:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი სამაგისტრო პროგრამების ანკეტა–კითხვარის დამტკიცება;

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ საჭიროა, ფაკულტეტმა 2017-18 სასწავლო წლისათვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიაწოდოს სამაგისტრო გამოცდის ანკეტა -კითხვარი. შესაბამისად, მომხსენებელმა შესთავაზა საბჭოს წევრებს, რომ თუ მათ არ აქვთ შენიშვნები წინა წელს გადაგზავნილ განაწილებასთან დაკავშირებით, მაშინ ფაკულტეტს შეუძლია იხელმძღვანელოს შარშანდელი - 2016-17 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარის განაწილებით. დამტკიცებული ანკეტა-კითხვარი თან ერთვის ოქმს დანართის სახით.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი სახით.

2. ასისტენტ-პროფესორ ელენე კვანჭილაშვილის მიერ წარმოდგენილი ახალი სილაბუსის - "კულტურული ფსიქოლოგია" - დამტკიცება.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ასისტ. პროფ. ელენე კვანჭილაშვილის სილაბუსი „კულტურული ფსიქოლოგია" ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში არჩევით საგნად შესატანად. მ. მელიქიშვილის აღნიშვნით, ფაკულტეტზე მოქმედი, აკადემიური პერსონალისთვის ცნობილი წესის თანახმად, საბაკალავრო სილაბუსებს თან უნდა

ერთვოდეს საკითხავი მასალა ქართულ ენაზე, ასისტ. პროფ. ე. კვანჭილაშვილის მიერ წარმოდგენილ სილაბუსს კი ახლავს ლიტერატურა მხოლოდ ინგლისურ ენაზე, მაგრამ ჩვენს ფაკულტეტზე უცხოენოვანი ლიტერატურის მქონე კურსების კვოტა - 10% უკვე შევსებულია; მ. მელიქიშვილმა აქვე აღნიშნა, რომ ის დასაშვებად მიიჩნევს აღნიშნული კურსის კურიკულუმში ჩასმას იმ პირობით, თუ სილაბუსის ავტორი სემესტრის დასაწყისისთვის წარმოადგენს საკითხავ მასალას ქართულ ენაზე.

აზრი გამოთქვეს:

<u>პროფ. თამარ გაგოშიძე</u> - კურიკულუმში უკვე არსებობს კულტურის ფსიქოლოგიის კურსი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მეორეც შევიდეს და სტუდენტებმა გააკეთონ არჩევანი, ვისთან ივლიან ლექციაზე, თუმცა მე ამის მომხრე არა ვარ.

<u>ასოც. პროფ. რუსუდან სანაძე</u> - იყოს ორი კურსი, ამით რა დაშავდება.

<u>ასოც. პროფ. ვახტანგ ნადარეიშვილი</u> - რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კურიკულუმში უკვე არსებობს მსგავსი სალექციო კურსი „კულტურა და ფსიქოლოგია". კვოტის საკითხის გარდა, ფაკულტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, მართებული იქნება უპირატესობა მივანიჭოთ იმ სილაბუსს, რომელიც: ა) დათქმულ ვადებში შეტანილია კურიკულუმში; ბ) შექმნილია მრავალწლიანი სალექციო გამოცდილების მქონე პროფესორის მიერ; გ) კურიკულუმში არსებული სილაბუსის ავტორი არის მოცემულ სფეროში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რაზეც მეტყველებს, სახელდობრ კულტურისა და ფსიქოლოგიის თემატიკაზე შექმნილი, მისი სამეცნიერო სტატიები და მონოგრაფიები; დ) აღნიშნული მასალა ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის.

<u>ასოც.პროფ. ეკატერინე ფირცხალავა</u> - ბატონო ვახტანგ, თქვენს მიერ ხსენებულ საგანს კითხულობს ლადო გამსახურდია, რომელსაც არა აქვს დიდი გამოცდილება.

<u>პროფ. ლ. სურმანიძე</u> - უკაცრავად, ეკა, იმ საგანზე ლექციას ვკითხულობ მე, გამსახურდია სემინარს ატარებს.

<u>ასოც.პროფ. ეკატერინე ფირცხალავა</u> - მაგრამ იქ წერია გამსახურდია.

<u>პროფ. ლ. სურმანიძე</u> - იქ წერია ორივე, როგორც კურსის ავტორები, ლექციები მე მიმყავს.

<u>პროფ. თამარ გაგოშიძე</u> - სხვათა შორის, გამსახურდიას აქვს ლექციის წაკითხვის უფლება - მას აქვს აკადემიური ხარისხი. საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად ნებისმიერ აკადემიურ პერსონალს აქვს საბჭოსთვის დასამტკიცებლად სილაბუსის შემოთავაზების უფლება, მე მიმაჩნია, რომ სწავლების ხარისხის ამაღლების ინტერესებიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გვქონდეს კონკრეტულ სფეროში მკვლევრული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანებზე. და ეს არ ეხება მხოლოდ წარმოდგენილი სილაბუსის ავტორს, რომელიც კულტურის ფსიქოლოგიის სპეციალისტი არ არის და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სხვა ინტერესების სფერო აქვს. გარდა იმისა, რომ მის მიერ სილაბუსი წარმოდგენილია წესის შეუსაბამოდ - არ ახლავს საკითხავი მასალა ქართულ ენაზე, უნდა ვთქვა, რომ ამ სილაბუსზე თანდართული ინგლისურენოვანი ლიტერატურა ეხება კროსკულტურულ ფსიქოლოგიას, ეს მიმართულება კი დღეს ზოგადად კულტურის ფსიქოლოგიის სფეროში ე.წ. კულტურული ფსიქოლოგიის მიმართულების იდენტური არ არის.

ასოც. პროფ. ანასტასია ქიტიაშვილი - კულტურული ფსიქოლოგიის კურსი წლების მანძილზე იკითხებოდა სოციალური ფსიქოლოგიის კონცენტრაციიდან და მას კითხულობდნენ შალვა აბზიანიძე და ელენე კვანჭილაშვილი.

პროფ. ლ. სურმანიძე - დავაზუსტებ. კითხულობდა შალვა აბზიანიძე. ელენე კვანჭილაშვილი არ კითხულობდა.

ასოც. პროფ. ანასტასია ქიტიაშვილი - მაგრამ სემინარებს ხომ ატარებდა.

პროფ. ლ. სურმანიძე - სემინარებს ამ საგანში სხვებიც ატარებდნენ, მაგრამ არ კითხულობდნენ ლექციებს.

სტუდენტი სალომე თოფურია - ჩვენ, სტუდენტებსაც გვინდა აზრის გამოთქმა ამ საკითხთან დაკავშირებით. მე, როგორც სტუდენტმა, მინდა დავაფიქსირო ასისტ. პროფ. კვანჭილაშვილთან სასწავლო კომუნიკაციის გამოცდილება. მე მასთან გავიარე ორი სალექციო კურსი - „კულტურული ფსიქოლოგია“ და „პოლიტიკური ფსიქოლოგია“, და მინდა აღვნიშნო, რომ სასემინარო მუშაობაზე გაცილებით მეტს ვიღებდით, ვიდრე მის ლექციებზე. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არ არის, ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა ამ კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტების უმრავლესობას. ჩემი აზრით, რადგან კურიკულუმში უკვე არსებობს საგანი ამ სფეროდან, ქ-ნი ე. კვანჭილაშვილის მიერ შემოთავაზებული საგნის აუცილებლობა აღარ არსებობს.

პროფ. თამარ გაგოშიძე - კოლეგებო, კენჭს ვუყრით ასისტენტ-პროფესორ ელენე კვანჭილაშვილის მიერ წარმოდგენილი ახალი სილაბუსის - "კულტურული ფსიქოლოგია" - კურიკულუმში შეტანას.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 7
თავი შეიკავა: 16

დაადგინეს:

უარი ეთქვას ასისტენტ-პროფესორ ელენე კვანჭილაშვილს საბაკალავრო დონეზე არჩევით საგნად წარმოდგენილი სილაბუსის „კულტურული ფსიქოლოგია“ კურიკულუმში შეტანაზე.

3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტებისა და სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ხელმძღვანელების დამტკიცება.

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოც.პროფ.-მა ზ. ქიტიაშვილმა მოახსენა საბჭოს წევრებს, რომ დასამტკიცებელია ახლად არჩეული ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტებისა და სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ხელმძღვანელები.

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დასახელებულია ასოც. პროფ. ეკატერინე ფირცხალავა, ხოლო განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელად - პროფესორი ქეთევან ჭკუასელი.

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ხელმძღვანელებად წარმოდგენილია შემდეგი კანდიდატურები:

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - ასოც. პროფესორი მაია რობაქიძე;

განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - პროფ. მზია წერეთელი;

სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - ასოც. პროფესორი მედეა დესპოტაშვილი;

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - ასოც. პროფესორი ლუიზა არუთინოვი;

კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - პროფ. თამარ გაგოშიძე;

პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - პროფ. ქეთევან ჭკუასელი.

საბჭომ კენჭი უყარა წარდგენილი კანდიდატურების ერთიან სიას:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

<u>დეპარტამენტების ხელმძღვანელებად დამტკიცდეს:</u>

ფსიქოლოგიის - ასოც. პროფ. ეკატერინე ფირცხალავა,

განათლების მეცნიერებათა - პროფ. ქეთევან ჭკუასელი.

<u>სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ხელმძღვანელებად დამტკიცდეს:</u>

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის - ასოც. პროფ. მაია რობაქიძე,

განათლების ფსიქოლოგიის - პროფ. მზია წერეთელი,

სოციალური ფსიქოლოგიის - ასოც. პროფ. მედეა დესპოტაშვილი,

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის - ასოც. პროფ. ლუიზა არუთინოვი

კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის - პროფ. თამარ გაგოშიძე

4. 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი გრანტების საბოლოო ანგარიშების დამტკიცება.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა დიმიტრი ჩუბინიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დასრულების შესახებ. მან საბჭოს მიმართა, საბოლოო ანგარიშების საფუძველზე ცნოს დასრულებულად აღნიშნული კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული შემდეგი პროექტები:

PSY2016_1 "აგრესიის, სკოლაში სოციალური ქცევისა და პიროვნული ფაქტორების ურთიერთმიმართება ბავშვებსა და მოზარდებში" – ლუიზა არუთინოვა, ასოც. პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

PSY2016_2 "საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის ჯგუფების აკულტურაციის და კულტურული ასიმილაციის კვლევა" – მედეა დესპოტაშვილი, ასისტენტ–პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

PSY2016_3 "განათლების მიღმა დარჩენილი და უმუშევარი ახალგაზრდების სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების კვლევა საქართველოში" – ანასტასია ქიტიაშვილი, ასოც. პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

PSY2016_4 "ბიოსამედიცინო კვლევებში ცხოველთა გამოყენების ეთიკური ასპექტები: დამოკიდებულებების კვლევა საქართველოში" – მანანა მელიქიშვილი, ასოც. პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

PSY2016_5 "ქორწინების ქართული კულტურული მოდელი" – ლალი სურმანიძე, პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

PSY2016_6 "განათლებისადმი დამოკიდებულებისა და მოტივაციის კვლევა თაობათა თვალსაზრისით" – მზია წერეთელი, პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

PSY2016_7 „პიროვნული და ორგანიზაციული ფაქტორების გავლენა ემოციური შრომის შედეგებზე მომსახურების სფეროში" – იამზე კუტალაძე, პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

EDU2016_1 "ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობაში სასწავლო პროცესის შეფასების თვალსაზრისით არსებული ვითარების/პრაქტიკის კვლევა" – რუსუდან სანაძე, ასოც. პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფ. ლილი ხეჩუაშვილმა საბჭოს წევრების წინაშე დასვა პუბლიკაციისთვის საჭირო თანხების მობილიზების საკითხი. მისი აღნიშვნით, მიზანშეწონილია, ფაკულტეტმა უზრუნველყოს გრანტის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალებში განსათავსებლად დაწესებული გადასახადის მობილიზება და საბჭოს მოუწოდა, კენჭი ეყარათ ამ წინადადებისთვის.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა დ. ჩუბინიძემ საბჭოს ასევე შესთავაზა დასრულებული კვლევითი პროექტების წარდგენის

ფორმატი - ყოველი პროექტით განხორციელებული კვლევის შედეგების წარდგენა ფაკულტეტზე ფუნქციონირებად კოლოკვიუმებზე.

საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას და კენჭი უყარეს.

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

- **დასრულებულად იქნეს ცნობილი 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები.**
- **ფაკულტეტმა უზრუნველყოს გრანტის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალებში განსათავსებლად დაწესებული გადასახადის მობილიზება.**
- **ყოველი პროექტით განხორციელებული კვლევის შედეგები წარდგენილ იქნეს ფაკულტეტზე ფუნქციონირებადი კოლოკვიუმების ფარგლებში.**

5. **თსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2005 წლის კურსდამთავრებული ეკატერინე დარბაიძის აკადემიური ხარისხის დაზუსტება.**

თსუ–ს რექტორს განცხადებით მიმართა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2005 წლის კურსდამთავრებულმა **ეკატერინე დარბაიძემ**, რომელიც ითხოვს მის სახელზე უნივერსიტეტის მიერ გაცემულ დიპლომში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ ეკატერინე დარბაიძე 2003 წელს (ბრძ.№4/1141, 29.09.2003წ.) ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის საბიუჯეტო სექტორის პირველ კურსზე, რეკლამის ფსიქოლოგიის სპეციალობაზე.

2005 წელს (ბრძ. №4/698, §3, 02.08.2005წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულ ეკატერინე დარბაიძეს მიენიჭა **ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რეკლამის ფსიქოლოგიის კვალიფიკაცია, რეკლამის ფსიქოლოგიის სპეციალობით.**

ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 22 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი № 40) გადაწყვეტილებით ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ ეკატერინე დარბაიძეს მიენიჭა **ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია რეკლამის ფსიქოლოგი, სპეციალობით რეკლამის ფსიქოლოგია.**

საქმისწარმოებისას აგრეთვე გამოირკვა, რომ 2005 წელს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა რეკლამის ფსიქოლოგიის სპეციალობით ეკატერინე

დარბაიძესთან ერთად დაასრულა თამარ ჯამარჯაშვილმა (ბრძ. №4/698, §3, 02.08.2005წ.).

კენჭი უყარეს წინადადებას: ეკატერინე დარბაიძეს და თამარ ჯამარჯაშვილს დაუფიქსირდეთ კვალიფიკაცია: მიენიჭოს ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია რეკლამის ფსიქოლოგი, სპეციალობით რეკლამის ფსიქოლოგია.

მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა -0

დაადგინეს:

შევიდეს შესწორება ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2005 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 22 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში № 40 და ეკატერინე დარბაიძეს და თამარ ჯამარჯაშვილს დაუფიქსირდეთ შემდეგი კვალიფიკაცია: მიენიჭოს ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია რეკლამის ფსიქოლოგი, სპეციალობით რეკლამის ფსიქოლოგია.

6. **საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში მონაწილე თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების შემრჩევი კომისიის შემადგენლობის დადგენა;**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ზ. ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საჭიროა ფაკულტეტზე მოქმედი, საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტების შემრჩევი კომისიის შემადგენლობის კორექცია. კერძოდ, კომისიის წევრად ფიქსირდებიან სტუდენტები: სალომე თოფურიძე და მარიამ ტაბატაძე. ეს უკანასკნელი - მარიამ ტაბატაძე - აღარ არის ფაკულტეტის თვითმმართველობის და, შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭოს წევრი. აქედან გამომდინარე, საბჭო უფლებამოსილია, ამორიცხოს დასახელებული კომისიის წევრობიდან მარიამ ტაბატაძე. ასევე, რადგანაც დებულებით კომისიის წევრად საკმარისია ერთი სტუდენტი და მოცემულ შემთხვევაში ამ კომისიის წევრად რჩება სალომე თოფურიძე, ამდენად, საბჭოს წინაშე აღარ დგას მარიამ ტაბატაძის ნაცვლად აღნიშნულ კომისიაში სხვა წარმომადგენლის შეყვანის აუცილებლობა.

საბჭომ კენჭი უყარა საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტების შემრჩევი კომისიის წევრად სალომე თოფურიძის დამტკიცებას.

მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

ფაკულტეტზე მოქმედი, საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტების შემრჩევი კომისიის წევრად დამტკიცებულია სტუდენტი სალომე თოფურიძე.

7. **აკრედიტაციის გასავლელად წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების მხარდაჭერის საკითხი.**

ასოც. პროფესორმა ვახტანგ ნადარეიშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური ბიუროკრატიული მიზეზების გამო აქამდე ვერ ხერხდება მომზადებული იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის დაწყება. მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, დეკანმა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გადადგან ქმედითი ნაბიჯები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფ. ლ. ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ ასოც. პროფ. ვ. ნადარეიშვილის მიერ დასმული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია როგორც ზოგადად დარგის, ისე, კონკრეტული მიმართულების - იურიდიული ფსიქოლოგიის მიმართულების კვლევის თვალსაზრისითაც. ეს პრობლემა მისთვისაც მტკივნეულია, რადგან იმავე მიზეზების გამო ვერ მოხერხდა სამაგისტრო პროგრამის - „პოზიტიური ფსიქოლოგია“ აკრედიტაციის პროცესის დაწყება.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და კენჭი უყარა გადაწყვეტილებას - დაევალოს ფაკულტეტის დეკანსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გადადგან ქმედითი ნაბიჯები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

8. **სხვა:**

ასოც. პროფ.-ის, გიორგი გოროშიძის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმთან დაკავშირებული შენიშვნები და მისი ახალი საგნების სილაბუსების საკითხი.

მოისმინეს ასოც. პროფ.-ის, გ. გოროშიძის მოსაზრება ფაკულტეტის სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

თამარ გაგოშიძე - სასწავლო კურიკულუმში შეტანილია მხოლოდ არაარსებითი ცვლილებები. უცვლელადაა დატოვებული კრედიტების გადანაწილება, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი საგანებისათვის. კერძოდ: (1) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით კურიკულუმიდან ამოღებული იქნა შვიდი არჩევითი კურსი და დაემატა ახალი შვიდი არჩევითი კურსი; ასევე, სასწავლო კურიკულუმში კურსები დალაგდა ანბანური თანმიმდევრობით, რაც სტუდენტებს პროგრამის წაკითხვასა და აღქმას უადვილებს. თითოეული საგნის გვერდით მითითებულია ინსტიტუტი (თემატური კონცენტრაცია/მოდული), რომელიც რეკომენდაციას უწევს აღნიშნულ

საგანს. შესაბამისად, საბაკალავრო კურსების თემატური კონცენტრაციები (მოდულები) შენარჩუნებულია უცვლელი სახით. აღნიშნული კურსების დამატება და ამოღება განხორციელდა ინსტიტუტების (თემატური კონცენტრაცია) გადაწყვეტილების საფუძველზე. სხვა არანაირი თემატური ცვლილება კურიკულუმში შეტანილი არ არის.

რაც შეეხება, ბატონ გოგი გოროშიძეს მიერ წარმოდგენილ ახალ სილაბუსებს „ორგანიზაციის ურთიერთობა საზოგადოებასთან" და „საქმიანი ურთიერთობის ფსიქოლოგია და ეთიკა" დეპარტამენტმა განიხილა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გადასცა უარყოფითი დასკვნა, ხოლო კურსის - საქმიანი ურთიერთობების ორგანიზაცია მცირე ბიზნესში"- სილაბუსს, კურსი არ წარმოუდგენია არც ერთი ინსტიტუტს, რის გამოც მისი შეტანა საბაკალავრო პროგრამაში ვერ მოხდება.

საბჭომ მიიღო ცნობად ახსნა-განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი სახით.

2. უარი ეთქვას ასისტენტ-პროფესორ ელენე კვანჭილაშვილს საბაკალავრო დონეზე არჩევით საგნად წარმოდგენილი სილაბუსის „კულტურული ფსიქოლოგია" კურიკულუმში შეტანაზე.

3. <u>*დეპარტამენტების ხელმძღვანელებად დამტკიცდეს:*</u>
ფსიქოლოგიის - ასოც. პროფ. ეკატერინე ფირცხალავა,
განათლების მეცნიერებათა - პროფ. ქეთევან ჭკუასელი.
<u>*სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ხელმძღვანელებად დამტკიცდეს:*</u>
შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის - ასოც. პროფ. მაია რობაქიძე,
განათლების ფსიქოლოგიის - პროფ. მზია წერეთელი,
სოციალური ფსიქოლოგიის - ასოც. პროფ. მედეა დესპოტაშვილი,
პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის - ასოც. პროფ. ლუიზა არუთინოვი
კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის - პროფ. თამარ გაგოშიძე

4. დასრულებულად იქნეს ცნობილი 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები.

- ფაკულტეტმა უზრუნველყოს გრანტის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალებში განსათავსებლად დაწესებული გადასახადის მობილიზება.
- ყოველი პროექტით განხორციელებული კვლევის შედეგები წარდგენილ იქნეს ფაკულტეტზე ფუნქციონირებადი კოლოკვიუმების ფარგლებში.

5. შევიდეს შესწორება ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2005 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 22 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში № 40 და ეკატერინე დარბაიძეს და თამარ ჯამარჯაშვილს დაუფიქსირდეთ შემდეგი კვალიფიკაცია: მიენიჭოს ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია რეკლამის ფსიქოლოგი, სპეციალობით რეკლამის ფსიქოლოგია.

6. გამოყვანილ იქნას გამართულ ღონისძიებებში მონაწილე თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების შემრჩევი კომისიის შემადგენლობიდან სტუდენტი მარიამ ტაბატაძე. ფაკულტეტზე მოქმედი, საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტების შემრჩევი კომისიის წევრად დამტკიცებულია სტუდენტი სალომე თოფურიძე.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / _____ /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი / _____ /

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა:	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება:	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საფოსტო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1, 0179, ტელ: +995 32 222 02 41, ფაქსი: +995 32 222 51 07
ელფოსტა	ელ-ფოსტა: rector@tsu.ge
ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	თამარ ვეფხვაძე, ტელ: +995 32 229 08 15, ელ-ფოსტა: tamar.vepkhvadze@tsu.ge
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	
სპეციალური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატთათვის	

სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომელზედაც შესახებამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება	სამაგისტრო პროგრამის შესახებამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება/მიმართულებები	მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება	აკრედიტებულია თუ არა	დაფინანსება	სწავლების ენა	წლიური გადასახადი	სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა	სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესახებამისი ტესტის ტიპი			სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები					უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება			იდენტური კოეფიციენტების შემთხვევაში უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის პრიორიტეტი	თითოეულ პროგრამაზე ადგილების რაოდენობა	მიმართულებათაშორისი დარგების შესახებამის სამაგისტრო პროგრამაზე ერთზე მეტი ტესტის ტიპის არჩევის შემთხვევაში, უსდ-ს მიერ კოეფიციენტების სამაგისტრო გამოცდისათვის მინიჭებისას პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა თითოეული ტესტის ტიპის მიხედვით			
								A ტიპის ტესტი	B ტიპის ტესტი	C ტიპის ტესტი	სულ	წერითი ნაწერი	ანალიტიკური წერა	ლოგიკური მსჯელობა	რაოდენობრივი მსჯელობა	სულ	გამოცდა სპეციალობაში	გამოცდა უცხო ენაში			A ტიპის ტესტი	B ტიპის ტესტი	C ტიპის ტესტი
								1	2	3											1	2	3
1. განათლების ფსიქოლოგია და კვლევა	სოციალური მეცნიერებები	ფსიქოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	15	X								100	გამოცდა სპეციალობაში 80	გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) 20		15			
2. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	სოციალური მეცნიერებები	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	15	X								100	გამოცდა სპეციალობაში 80	გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) 20		15			
3. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია	სოციალური მეცნიერებები	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	15	X								100	გამოცდა სპეციალობაში 80	გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) 20		15			
4. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	სოციალური მეცნიერებები	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	10	X								100	ესსე 60; გასაუბრება 40			10			
5. ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება	სოციალური მეცნიერებები	ფსიქოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	15	X								100	გამოცდა სპეციალობაში 70, გასაუბრება უცხო ენაში 30			15			
6. განათლების მეცნიერებები	განათლება	განათლების მეცნიერებების მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	10	X								100	გამოცდა სპეციალობაში 80	გამოცდა უცხო ენაში (B1) 20		10			
7. მასწავლებლის განათლება	განათლება	მასწავლებლის განათლების მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	10	X								100	გამოცდა სპეციალობაში 80	გამოცდა უცხო ენაში (B1) 20		10			